

## **რეკომენდაცია**

### **ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ**

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გ.,

საქართველოს სახალხო დამცველს, 2017 წლის 11 ოქტომბერს, განცხადებით მომართა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ - ს. ე. ფ.-მ, რომელსაც წარმომადგენლობას უწევს ააიპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“.

#### **1. ფაქტობრივი გარემოებები**

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ს. ე. ფ.-მ 2017 წლის 10 აპრილს გაიკეთა ხერხემლის ოპერაცია, რომელსაც მოჰყვა შემდგომი გართულებები. იმავე წლის 18 აპრილს განმცხადებელს ჩაუტარდა სამედიცინო გამოკვლევა, რის საფუძველზეც სასწრაფო წესით, სამკურნალოდ, მისი ისრაელში გამგზავრება გადაწყდა. მან იმავე დღეს ინტერნეტის მეშვეობით შეიძინა ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ ბილეთი.

ვინაიდან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლეოდა ეტლის გარეშე გადაადგილების შესაძლებლობას, განმცხადებელს თვითმფრინავის ბორტზე ასასვლელად, როგორც შეზღუდული მობილობის მქონე პირს, ესაჭიროებოდა სპეციალური მომსახურება. იმავე დღეს, საქართველოს ავიახაზების ვებ-გვერდზე ბილეთის შეძენისას, განმცხადებელმა გაარკვია, რომ ავიაკომპანიის ან აეროპორტის ოპერატორის მიერ ეტლით სარგებლობის უზრუნველსაყოფად, საჭირო იყო ავიაკომპანიის წინასწარი გაფრთხილება, გაფრენამდე 72 საათით ადრე. იმის გამო, რომ ისრაელში გამგზავრება დაიგეგმა საკმაოდ მცირე დროში - რეისის წინა დღეს, ს. ე. ფ.-სთვის, ამ გაფრთხილებისთვის დადგენილი ვადის დაცვა ობიექტურად შეუძლებელი იყო.

განცხადებაზე დართული ექიმის წერილიდან და განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობიდან ირკვევა, რომ ს. ე. ფ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა 2018 წლის 19 აპრილს საკმაოდ მძიმე იყო. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ აეროპორტში რეგისტრაციის გავლისას, კომპანიის წარმომადგენელს მისი ეტლით უზრუნველყოფა სთხოვა, თუმცა, ერთ შემთხვევაში მიიღო უარი, სხვა წარმომადგენელმა კი უპასუხა, რომ ეტლით სარგებლობის შემთხვევაში მას 104 ევროს გადახდა მოუწევდა. განმცხადებლის განმარტებით, ავიაკომპანიის ვებგვერდზე ამ საფასურის თაობაზე არაფერი იყო მითითებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ს. ე. ფ., მიუხედავად ძლიერი ტკივილისა, იძულებული გახდა ფეხით გადაადგილებულიყო, რამაც ჭრილობიდან სისხლდენა გამოიწვია, რისი მოწმეც, ავიაკომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, სხვა მგზავრებიც გახდნენ.

ვინაიდან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი საკმაოდ პატარა ზომისაა, ს. ე. ფ.-მ ჩათვალა, რომ მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, შეძლებდა ეტლის გარეშე გადაადგილებას, თუმცა, ეტლი აუცილებლად დასჭირდებოდა თელ-ავივის აეროპორტში ჩასვლისას, შესაბამისად, იგი თანახმა იყო გადაეხადა მოთხოვნილი თანხა, თუ თელ-ავივის აეროპორტში მოხდებოდა მისი უზრუნველყოფა სპეციალური მომსახურებით. ამ საკითხის გადასაწყვეტად, ავიაკომპანიის წარმომადგენელმა განმცხადებელი გადაამისამართა თვითმფრინავის ბორტგამცილებელთან.

ს. ე. ფ.-ს განცხადებით, მან თავისი მდგომარეობის შესახებ განუმარტა თბილისი-თელ-ავივის რეისის ბორტგამცილებელს, რომელმაც, თავის მხრივ, ეტლით მომსახურების საფასურად ასევე 104 ევრო დაასახელა. რადგან განმცხადებლის მდგომარეობა იყო საკმაოდ მძიმე, იგი დათანხმდა შესაბამისი საფასურის გადახდას, თუმცა, ისრაელის აეროპორტში ჩაფრენისას, მას განუცხადეს, რომ კომპანიას ეტლი არ ჰქონდა და მას ვერ დაეხმარებოდნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისმა“ ვერ უზრუნველყო იგი, როგორც სპეციალური საჭიროების მქონე პირი, სათანადო სერვისით, რის გამოც, ჩააყენა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „ჯორჯიან ეარვეისის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ავიაკომპანია უზრუნველყოფს სპეციალურ მომსახურებას, რაც გულისხმობს ეტლით სარგებლობასაც, თუმცა ამ მომსახურების გაწევისათვის მოთხოვნის წარდგენის ვადად თვითმფრინავის გაფრენამდე 72 საათია განსაზღვრული. განცხადების ავტორის აზრით, მოპასუხე ავიაკომპანიის მიერ არ არის მოწესრიგებული ისეთი შემთხვევები, როდესაც მომხმარებელი დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ყიდულობს ბილეთს.

ვინაიდან აღნიშნული დეტალები ავიაკომპანიის ვებ-გვერდზე სათანადოდ არ იყო განმარტებული, ს. ე. ფ.-ს განცხადებით, მას ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ „ჯორჯიან ეარვეისის“ მხრიდან გათვალისწინებული იქნებოდა მისი მდგომარეობა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მისთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო აღნიშნული 72 საათიანი ვადის დაცვა. ამიტომ, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ავიაკომპანია ვერ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურების გაწევას შეზღუდული მობილობის მქონე პირებისთვის.

განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა „ჯორჯიან ეარვეისისგან“ (შემდგომში ავიაკომპანია). 2017 წლის 14 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატში გამოგზავნილ წერილში ავიაკომპანია აღნიშნავს, რომ ეტლით მომსახურებით უზრუნველყოფის საკითხი განეკუთვნება არა მისი, არამედ,

ოპერატორის - „ტავ ურბან საქართველოს“ (შემდგომში ოპერატორი) კომპეტენციას. ავიაკომპანია, იმავე წერილში, ასევე მიუთითებს გარკვეულ ხარვეზებზე საქართველოს კანონმდებლობაში, რომელთა გამოსწორება „ჯორჯიან ეარვეისის“ ინტერესებშიც შედის.

რაც შეეხება ეტლით მომსახურებისთვის თანხის მოთხოვნის საკითხს, „ჯორჯიან ეარვეისი“ აღნიშნავს, რომ იგი არ ითვალისწინებს მსგავსი მომსახურებისთვის რაიმე საფასურის გადახდას. ამასთან, ავიაკომპანიის მითითებით, აღნიშნული თანხა, შესაძლოა, წარმოადგენდა **ოპერატორის** მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ეტლით მომსახურების გასაწევად დაწესებულ თანხას.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე მიმართა „ტავ ურბან საქართველოს.“ 2017 წლის 15 დეკემბერს ოპერატორი კომპანიის მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორ კომპანიას სხვა სერვისებთან ერთად, ასევე გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მომსახურების სერვისები, რომელთა გაწევაც ხდება მოთხოვნის საფუძველზე, როგორც წინასწარი შეტყობინებით, ისე ადგილზე მგზავრთა რეგისტრაციის პროცესში. თუმცა, მოცემულ დღეს მათთან არ შესულა ამგვარი მომსახურების გაწევის საჭიროებასთან დაკავშირებული მოთხოვნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესი განსაზღვრულია სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის №16 ბრძანებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა, შესაბამისი განმარტების მიზნით, ასევე მიმართა სსიპ - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს.

სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ“ 2018 წლის 19 აპრილს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ზეპირი მოსმენით განიხილა სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის მიერ გაგზავნილი, ს. ე. ფ.-ს განცხადება და შესაბამის საქმეზე დაადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. საქმის ზეპირ განხილვას, რომელიც მიმდინარე წლის 19 აპრილს, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ ოფისში გაიმართა, ესწრებოდნენ სააგენტოს დირექტორი, სააგენტოს სხვა თანამშრომლები, შპს „ტავ ჯორჯიას“ და შპს „ჯორჯიან ეარვეისის“ წარმომადგენლები, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი.

საქმის განხილვის შედეგად სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ“ გამოარკვია, რომ შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ დაარღვია სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის მე-16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ“ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს ავიაკომპანიის მიერ აეროპორტის ოპერატორისათვის ინფორმაციის მიწოდებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მომსახურებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის ავიაკომპანიის წინასწარი

შეტყობინება და მგზავრი უშუალოდ გაფრენისას განაცხადებს მისთვის სპეციალური მომსახურების საჭიროების თაობაზე. შესაბამისად, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ“ გადაწყვეტილება მიიღო დაეჯარიმებინა ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“.

## **2. სამართლებრივი შეფასება**

### **2.1. ზოგადი დებულებები**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც, თავის მხრივ, შეისწავლის დისკრიმინაციის კონკრეტულ ფაქტებს და გამოსცემს რეკომენდაციებს ან ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგად წინადადებებს დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი განმარტავს, რომ თუ სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და დისკრიმინაციის შედეგები არ არის აღმოფხვრილი, სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით ასრულებს საქმის წარმოებას, დარღვეული თანასწორობის აღსადგენად ღონისძიებების განხორციელების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციის გამოცემით.

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მის მიზანს.<sup>1</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, პირდაპირი დისკრიმინაციაა ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II,1.

გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები კი, ასეთი მიზნის მიღწევის თანაზომიერია.

განხილული საკანონმდებლო დებულებების შინაარსიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს *ხელი ემლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებოს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება* და იგი დასახული მიზნის *არაპროპორციული*, მამასადაამე არა თანაზომიერია.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპულის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით დაცულ სფეროში, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ*. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არ აქვს *ობიექტური და გონივრული გამართლება*, ე.ი. არ ისახავს *კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის*.<sup>2</sup>

## 2.2. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომელიც შეზღუდა განმცხადებელს

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ს. ე. ფ.-მ, სამკურნალოდ გამგზავრების მიზნით, „ჯორჯიან ეარვეისში“ შეიძინა ავიაბილეთი. ვინაიდან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლეოდა ეტლის გარეშე გადაადგილების შესაძლებლობას, კერძოდ, დაკავშირებული იყო ძლიერ ტკივილთან და სისხლდენის საფრთხესთან, განმცხადებელს, როგორც შეზღუდული მობილობის მქონე პირს, საჭაერო ხომალდამდე მისასვლელად და ხომალდის ბორტზე ასასვლელად ესაჭიროებოდა სპეციალური მომსახურება, რისი ორგანიზების ვალდებულებაც, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, განეკუთვნება ავია-გადამყვანისა და აეროპორტის ოპერატორის ვალდებულებას.

ზემოაღნიშნული გამომდინარეობს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის მე-16 ბრძანებით დამტკიცებული „საჭაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესიდან“,

<sup>2</sup> ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom*, no: 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

რომლის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ ნორმატიული აქტის მიზანს წარმოადგენს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვა.*

აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი*, ამ აქტით გათვალისწინებულ ურთიერთობათა მიზნებისთვის, განმარტებულია, როგორც პირი, რომლის გადაადგილების შესაძლებლობა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას გართულებულია შესაძლებლობათა შეზღუდვის ან სხვა მიზეზით და *რომლის მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და ზომებს* იმ მომსახურებით სარგებლობის დროს, რომელიც განკუთვნილია მგზავრებისათვის.

მხედველობაშია ასევე მისაღები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებული ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის N1107/2006 რეგულაცია. დასახელებული რეგულაციის 2(a) მუხლის თანახმად, ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებული ტერმინი *„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“* ან *„შეზღუდული მობილობის მქონე პირი“* ნიშნავს, ნებისმიერ პირს, ვისი მობილობაც, ტრანსპორტით სარგებლობისას, შეზღუდულია შესაბამისი ფიზიკური და გონებრივი (დროებითი თუ მუდმივი) დარღვევების, ან შესაძლებლობათა შეზღუდვის სხვა ფაქტორების, ან ასაკის გამო და რომლის მდგომარეობაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და სხვა მგზავრებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების მის სპეციალურ საჭიროებებთან ადაპტირებას. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 2006 წლის 5 ივლისის (EC) N°1107/2006 რეგულაციის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის და შეზღუდული მობილობის მქონე პირებს, მიუხედავად იმისა, ეს მდგომარეობა გამოწვეულია ავადმყოფობით, ასაკით თუ ნებისმიერი სხვა ფაქტორით, უნდა გააჩნდეთ საჰაერო მგზავრობის სხვა პირების თანაბარი შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის და შეზღუდული მობილობის მქონე პირებს, სხვა პირების მსგავსად, აქვთ თავისუფალი გადაადგილების, არჩევანის თავისუფლების და დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება. ეს მიდგომა თანაბრად მიემართება როგორც საჰაერო მგზავრობას, ასევე, ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროს.<sup>3</sup>

სწორედ ზემოთ დასახელებული მიზნების უზრუნველსაყოფად, რეგულაციის პრეამბულის (4) პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის და მობილობის მქონე პირებს მათი სპეციალური მოთხოვნების შესაბამისი დახმარება უნდა გაეწიოთ როგორც აეროპორტში, ისე საჰაერო ხომალდის ბორტზე, ამისთვის სპეციალურად მომზადებული თანამშრომლებისა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის მეშვეობით. სოციალური ინკლუზიის მიზნებიდან

---

<sup>3</sup> Brussels, 11.6.2012 SWD(2012) 171 final. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Interpretative Guidelines on the application of Regulation (EC) N° 1107/2006 of the European Parliament and of the Council of 5 July 2006 concerning the rights of disabled persons and persons with reduced mobility when travelling by air. P. 1;

გამომდინარე კი, აღნიშნული დახმარება შესაბამის პირებს გაეწევა დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

ამრიგად, საჰაერო ტრანსპორტით თავისუფლად სარგებლობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობისა და შეზღუდული მობილობის მქონე პირებს უნდა გაეწიოთ მათ სპეციფიურ საჭიროებებზე მორგებული სპეციალური მომსახურება. აღნიშნული მომსახურების დეტალურ ჩამონათვალს შეიცავს როგორც ევროკავშირის 2006 წლის 5 ივლისის (EC) №1107/2006 რეგულაცია, ისე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი წესი. ამასთან ერთად, რეგულაციის I და II დანართები ერთმანეთისაგან განასხვავებენ, ერთ მხრივ, აეროპორტის ოპერატორი ორგანოს, ხოლო, მეორე მხრივ, ავია-გადამზიდველის პასუხისმგებლობაში შემავალ ვალდებულებებს.

უნდა აღნიშნოს, რომ შეზღუდული მობილობის მქონე პირისთვის განკუთვნილი ეტლით მომსახურებაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ავია-გადამზიდველის და აეროპორტის ოპერატორის პასუხისმგებლობაში შემავალ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას.

სწორედ ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ ს. ე. ფ.-სათვის ამგვარ მომსახურებაზე ფაქტობრივად უარის თქმის გამო, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის დადგენილებით მოხდა ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ სამართალდამრღვევად ცნობა. აქედან გამომდინარე, ს. ე. ფ.-სთან, როგორც შეზღუდული მობილობის მქონე მგზავრთან მიმართებით, ადგილი ჰქონდა მისი სპეციალური საჭიროების შესაბამისი მომსახურების მიღების უფლების შეზღუდვას.

### *2.3. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა*

როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის მე-16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ ნორმატიული აქტის მიზანს წარმოადგენს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა და მათი უფლებების დაცვა**. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი**, ამ აქტით გათვალისწინებული მიზნებისთვის, განმარტებულია როგორც პირი, რომლის გადაადგილების შესაძლებლობა სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას გართულებულია შესაძლებლობათა შეზღუდვის ან სხვა მიზეზით და **რომლის მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და ზომებს** იმ მომსახურებით სარგებლობის დროს, რომელიც განკუთვნილია მგზავრთათვის.

ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის N1107/2006 რეგულაციის 2(a) მუხლით კი, ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებული ტერმინი „**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი**“ (*“disabled person”*) ან „**შეზღუდული მობილობის მქონე პირი**“ (*“person with reduced*

*mobility*”) ნიშნავს, ნებისმიერ პირს, ვისი მობილობაც, ტრანსპორტით სარგებლობისას, შეზღუდულია შესაბამისი ფიზიკური და გონებრივი (დროებითი თუ მუდმივი) დარღვევების, ან შესაძლებლობათა შეზღუდვის სხვა ფაქტორების, ან ასაკის გამო და რომლის მდგომარეობაც მოითხოვს **განსაკუთრებულ ყურადღებას** და **სხვა მგზავრებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების მის სპეციალურ საჭიროებებთან ადაპტირებას**.

ამრიგად, როგორც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესი, ისე ევროკავშირის რეგულაცია შეზღუდული შესაძლებლობის და მობილობის მქონე პირებს, მათ შორის, განმცხადებელ ს. ე. ფ.-ს, მიუხედავად იმისა, ეს მდგომარეობა გამოწვეულია ავადმყოფობით, ასაკით თუ ნებისმიერი სხვა ფაქტორით, მიიჩნევს ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ისეთ პირებად, რომლებიც საჰაერო მგზავრობის დროს საჭიროებენ, მათ შორის, ეტლით სარგებლობის, სპეციალურ მომსახურებას, შესაბამისი სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, განმცხადებელმა, როგორც შეზღუდული მობილობის მქონე პირმა, ვერ ისარგებლა ეტლით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ძლიერი ტკივილი და განმცხადებლის ჭრილობიდან სისხლდენა, რის მოწმეც, ავიაკომპანიის თანამშრომლებთან ერთად, სხვა მგზავრებიც იყვნენ. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მგზავრის ამგვარ პირობებში ჩაყენება არამხოლოდ ზღუდავს მისი უფლებას ისარგებლოს საჰაერო ტრანსპორტით, არამედ, ლახავს ადამიანის ღირსებას და თავისი სიმძიმით შესაძლებელია გაუტოლდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

#### *2.4. განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული დასაბუთება*

ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ 2017 წლის 15 ნოემბრის საპასუხო წერილის თანახმად, „ჯორჯიან ეარვეისის“ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მგზავრებს ატყობინებს, რომ აუცილებელია ბილეთის ჯავშანში იყოს მითითებული ეტლით სარგებლობის შესახებ, ასევე, ავიაკომპანიის განცხადებით, გათვალისწინებულია ვადა (72 საათი), რათა მოხდეს ავიაკომპანიის მიერ აეროპორტის ოპერატორის ინფორმირება. წერილის თანახმად, აღნიშნული დრო განსაზღვრულია სწორედ იმისთვის, რომ მოხდეს მგზავრის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მისი შეუფერხებლად გადაადგილება აეროპორტის ტერიტორიაზე. ავიაკომპანიის მითითებით, განმცხადებელმა ვერ მოახერხა 72 საათით ადრე ბილეთის დაჯავშნა, რამაც გამოიწვია სპეციალური მომსახურებისთვის დაწესებული ვადების დარღვევა.

„ჯორჯიან ეარვეისის“ საპასუხო წერილში ასევე აღნიშნულია, რომ სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის მე-16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სამედიცინო მოწყობილობასთან ერთად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის არანაკლებ ორი



გადასაადგილებელი საშუალების გამოყოფას, ელექტრონული ეტლის ჩათვლით (აღნიშნული საჭიროებს შეტყობინებას 48 საათით ადრე).

ავიაკომპანია დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემული ვადა აუცილებელია, რათა მოხდეს აეროპორტის ოპერატორისთვის (მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორი კომპანია „ტავ ურბან საქართველო“) შეტყობინება ეტლით სარგებლობის შესახებ, ვინაიდან მსგავსი სერვისი შედის არა ავიაკომპანიის, არამედ ოპერატორის კომპეტენციაში.

„ჯორჯიან ეარვეისი“ ასევე მიუთითებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, „ავია-გადამზიდველი/მომსახურე ავია-გადამზიდველი/ტურ-ოპერატორი ვალდებულია, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების თაობაზე მიაწოდოს ოპერატორს გაფრენამდე არანაკლებ 36 საათით ადრე, თუ ასეთი დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ ინფორმაცია ავია-გადამზიდველმა/მომსახურე ავია-გადამზიდველმა/ტურ-ოპერატორმა მიიღო გაფრენამდე არანაკლებ 48 საათით ადრე.“

ავიაკომპანიის განცხადებით, ვინაიდან, ს. ე. ფ.-მ ვერ შეძლო 48 საათიანი ვადის დაცვა, ეტლით სარგებლობის საჭიროების თაობაზე ინფორმაცია დროულად ვერ გადაეცა ოპერატორს, რამაც გამოიწვია მისი აეროპორტის ტერიტორიაზე ეტლის გარეშე გადაადგილება.

ამასთან, აეროპორტის ოპერატორი კომპანია „ტავ ურბან ჯორჯია“ აღნიშნავს, რომ „ჯორჯიან ეარვეისის“ შესაბამის დღეს არ მიუმართავს მისთვის ეტლით სარგებლობის საჭიროების თაობაზე. გარდა ამისა, „ტავ ურბან ჯორჯიას“ განცხადებით, მათთვის ამგვარი ინფორმაციის გადაცემა, ყოველთვის ხდება შესაბამისი ავიაკომპანიებისაგან, ვინაიდან, სხვაგვარად ისინი, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაიგონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მგზავრების არსებობის შესახებ.

როგორც ევროკავშირის რეგულაციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული, ავია-გადამყვანმა, მათმა აგენტებმა და ტურ-ოპერატორებმა უნდა განახორციელონ ყველა ღონისძიება იმისთვის, რომ მათ გაყიდვების ყველა წერტილში, მათ შორის, ტელეფონითა და ინტერნეტით ბილეთების ყიდვის შემთხვევაში, მიღებული იქნეს შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის მქონე პირების მიერ სპეციალური მომსახურების საჭიროების თაობაზე მოთხოვნები.

იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც ავია-გადამყვანი, მისი აგენტი ან ტურ-ოპერატორი მიიღებს შეტყობინებას სპეციალური დახმარების საჭიროების შესახებ გამგზავრებამდე 48 საათით ადრე, მან აღნიშნული ინფორმაცია არაუგვიანეს 36 საათისა, უნდა მიაწოდოს: (ა) გამგზავრების, ჩამოფრენის და ტრანზიტის აეროპორტის ოპერატორს და (ბ) ოპერირებად ავია-გადამყვანს, იმ შემთხვევაში, როდესაც დაჯავშნა არ მომხდარა ამ ავია-გადამყვანთან.

მე-3 პუნქტის შესაბამისად კი, ყველა მე-2 პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევაში, ავია-გადამყვანი, მისი აგენტი ან ტურ-ოპერატორი ვალდებული არიან აღნიშნული ინფორმაცია გადასცენ შეძლებისდაგვარად შემჭიდროვებულ ვადებში.

ევროკავშირის რეგულაციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის ან მობილობის მქონე პირი მიდის აეროპორტში საჰაერო მგზავრობისთვის, აეროპორტის მმართველი ორგანო პასუხისმგებელია რეგულაციის პირველი დანართით გათვალისწინებული დახმარების განხორციელების უზრუნველყოფაზე იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისმა პირმა მისი სპეციფიური მოთხოვნები გამგზავრების გამოცხადებულ დრომდე 48 საათით ადრე შეატყობინა ავია-გადამყვანს, მის აგენტს ან ტურ-ოპერატორს. მხედველობაშია ასევე მისაღები, იგივე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისად, როდესაც არ ხდება ავია-გადამყვანის ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული წესის შესაბამისი გაფრთხილება, აეროპორტის მმართველმა ორგანომ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა (reasonable efforts) პირველი დანართით გათვალისწინებული დახმარების იმგვარად გასაწევად, რომ შესაბამისმა პირმა ისარგებლოს რეისით, რომელზეც მას გააჩნია ჯავშანი.

ევროკავშირის რეგულაციის მე-7 მუხლის შინაარსის სწორად გააზრებისთვის გასათვალისწინებელია აღნიშნული რეგულაციის განმარტებითი სახელმძღვანელო, რომელიც შემუშავებულია ევროკომისიის მიერ. როგორც სახელმძღვანელოშია აღნიშნული, რეგულაციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული წინასწარი შეტყობინება წარმოადგენს რესურსების ეფექტურად მართვისა და შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის მქონე პირის სათანადოდ დახმარების უზრუნველყოფის არსებით ელემენტს.<sup>4</sup>

სახელმძღვანელოს შესაბამისად, რეგულაციის 7(1) მუხლი, 7(3) მუხლის შედარებით რბილი ვალდებულების საპირისპიროდ, - რომლის შესაბამისად, მმართველმა ორგანომ უნდა მიიღოს გონივრული ზომები (reasonable efforts), რათა შესაბამისი მგზავრი უზრუნველყოს იგივე ხარისხის მომსახურებით - ადგენს აეროპორტის მმართველი ორგანოს ვალდებულებას იმგვარად განახორციელოს დახმარება, რომ პირმა, რომელმაც წინასწარ გააფრთხილა ავია-გადამყვანი, ყოველგვარი შეფერხების გარეშე ისარგებლოს იმ რეისით, რომელზეც მას ჯავშანი გააჩნია.<sup>5</sup>

როგორც განმარტებით სახელმძღვანელოშია აღნიშნული, რეგულაციის მე-7 მუხლი აეროპორტის მენეჯმენტს უფლებას აძლევს უპირატესობა მიანიჭოს შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის მქონე იმ პირებს, რომლებმაც მოახდინეს წინასწარი გაფრთხილება. თუმცა, დახმარების სერვისის პროვაიდერს შეუძლია პრიორიტეტი მიანიჭოს

<sup>4</sup> Brussels, 11.6.2012 SWD(2012) 171 final. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Interpretative Guidelines on the application of Regulation (EC) N° 1107/2006 of the European Parliament and of the Council of 5 July 2006 concerning the rights of disabled persons and persons with reduced mobility when travelling by air. P. 10;

<sup>5</sup> იქვე

იმ შეზღუდული შესაძლებლობის ან მობილობის მქონე პირს, რომელსაც წინასწარი გაფრთხილება აქვს გაკეთებული იმ პირობით, თუ იგი უზრუნველყოფს არადისკრიმინაციულ მიდგომას და მიიღებს ყველა გონივრულ ზომას წინასწარი გაფრთხილების არ მქონე მგზავრების სათანადოდ დასახმარებლად.<sup>6</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული საკითხის გადასაწყვეტად, მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად გაატარა ავია-კომპანიამ და თბილისის აეროპორტის ოპერატორმა ყველა გონივრული ღონისძიება იმისათვის, რომ განმცხადებელს აღმოჩენოდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ადეკვატური მომსახურება.

მხედველობაშია ასევე მისაღები, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის მე-16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები. კერძოდ, ავია-გადამზიდველი/მომსახურე ავია-გადამზიდველი/ტურ-ოპერატორი ვალდებულია, ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების თაობაზე მიაწოდოს ოპერატორს გაფრენამდე არანაკლებ 36 საათით ადრე, თუ ასეთი დახმარების აღმოჩენის საჭიროების შესახებ ინფორმაცია ავია-გადამზიდველმა/ მომსახურე ავია-გადამზიდველმა/ტურ-ოპერატორმა მიიღო გაფრენამდე 48 საათით ადრე.

მიუხედავად ამისა, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ ინფორმაცია არ არის მიღებულ ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, ავია-გადამზიდველი/მომსახურე ავია-გადამზიდველი/ტურ-ოპერატორი ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია ოპერატორს დაუყოვნებლივ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს, განხორციელდა თუ არა ავიაკომპანიის მიერ აეროპორტის ოპერატორის ინფორმირება განმცხადებლისთვის ეტლის საჭიროების თაობაზე. ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები, რომ 2018 წლის 19 აპრილს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში“ ჩატარებული ადმინისტრაციული განხილვის დროს მოპასუხე „ჯორჯიან ეარვეისის“ წარმომადგენლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება ავიაკომპანიის მიერ როგორც თბილისის აეროპორტის ოპერატორის, ისე თელ-ავივის აეროპორტის ინფორმირების ფაქტი ეტლის გამოყოფის საჭიროების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გახდა კიდევაც ავიაკომპანიის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის საფუძველი.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, როდესაც ქალბატონმა ფ.-ა თბილისის აეროპორტში მოითხოვა ეტლით სარგებლობა, ერთ შემთხვევაში მიიღო უარი, ხოლო ავიაკომპანიის სხვა წარმომადგენელმა კი უპასუხა, რომ ეტლით სარგებლობის შემთხვევაში მას უნდა გადაეხადა

---

<sup>6</sup> იქვე;

104 ევრო. განცხადების თანახმად, სწორედ ამის შემდეგ და იმის გამო, რომ თბილისის აეროპორტი არის საკმაოდ პატარა, განმცხადებელმა, მიუხედავად მისი მძიმე მდგომარეობისა, მიიღო გადაწყვეტილება ფეხით გადაადგილებულიყო, რაც საბოლოო ჯამში, გახდა ძლიერი ტკივილისა და ჭრილობიდან სისხლდენის საფუძველი. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებელი იძულებული გახდა უარი ეთქვა ეტლით მომსახურებაზე სწორედ მოთხოვნილი გადასახადის გამო.

მხედველობაშია მისაღები, სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის მე-16 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესის“ მე-8 მუხლის მე-10 პუნქტი, რომლის შესაბამისად, ოპერატორი ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აეროპორტში შესაბამისი დახმარება ყოველგვარი დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე.

ზემოაღნიშნული ნორმა, თავის მხრივ, ეფუძნება ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის N1107/2006 რეგულაციის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის შესაბამისად, აეროპორტის ოპერატორი პასუხისმგებელია ამ რეგულაციის პირველი დანართით გათვალისწინებული დახმარება შესაბამის პირებს გაუწიოს დამატებით გადასახადის გარეშე.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესი, ისე ევროკავშირის შესაბამისი რეგულაცია ითვალისწინებს აეროპორტის ოპერატორის მიერ, შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის მქონე პირებისათვის გაწეული დახმარების ანაზღაურების შესაძლებლობას. კერძოდ, როგორც სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-12 პუნქტშია აღნიშნული, ოპერატორი უფლებამოსილია დაუწესოს ავია-გადამზიდველს/მომსახურე ავია-გადამზიდველს სპეციალური საფასური, მათგან მიღებული სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების აღმოჩენის დაფინანსების მიზნით.

ევროკავშირის რეგულაციის 8(3) მუხლი კი, აეროპორტის მმართველ ორგანოს უფლებას რთავს დაფაროს ამგვარი დახმარების ხარჯები აეროპორტის მომხმარებელთა შორის ხარჯების არა-დისკრიმინაციულ საფუძველზე განაწილების მეშვეობით. აღნიშნული გადასახადი უნდა იყოს დასაბუთებული, რეალური ხარჯების შესაბამისი, ტრანსპარენტული და აეროპორტის მომხმარებლებთან შეთანხმებული.<sup>7</sup>

*ამრიგად, არც ქართული კანონმდებლობა და არც მის საფუძველად გამოყენებული ევროპული რეგულაცია არ ითვალისწინებს ამ სპეციფიური მომსახურების ღირებულების დაკისრებას შეზღუდული შესაძლებლობისა და მობილობის მქონე პირებზე. მსგავსი ხარჯის დაკისრება*

---

<sup>7</sup> იქვე14;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ამგვარი პრობლემის არ მქონე პირებთან შედარებით აკისრებს საკმაოდ დიდ ტვირთს. ამასთან, ავიაკომპანიის მიერ გამოვლენილი მიდგომა ეწინააღმდეგება სოციალური ინკლუზიის მიზნებს და დისკრიმინაციულია.

ამრიგად, ს. ე. ფ.-მ, სხვა შეზღუდული მობილობის მქონე იმ პირებისგან განსხვავებით, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ რეისამდე 72 საათით ადრე გააფრთხილონ ავია-გადამყვანი სპეციალური საჭიროების თაობაზე, ვერ გამოიყენა მისთვის განკუთვნილი სპეციალური მომსახურება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მძიმე შედეგი - ძლიერი ფიზიკური ტკივილი და სისხლდენა, ასევე ღირსების შელახვისა და შეურაცხყოფის განცდა. გარდა ამისა, განმცხადებლისთვის ეტლით მომსახურების დამატებითი ხარჯების მოთხოვნით, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა ეტლით სარგებლობის შეუძლებლობა, თავის მხრივ, ქალბატონი ფ.-ს, სხვა მგზავრებთან შედარებით, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენების საფუძველი გახდა.

### **3. დასკვნითი ნაწილი**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველი ადგენს, რომ განმცხადებელ ს. ე. ფ.-ს მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს შპს „ჯორჯიან ეარვეის“:

- ვებ-გვერდზე დეტალურად გაწეროს შეზღუდული შესაძლებლობის და მობილობის მქონე მგზავრების უფლებები;
- უზრუნველყოს საკუთარი პერსონალისთვის შეზღუდული შესაძლებლობის და მობილობის მქონე პირების სპეციფიური საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

გთხოვთ, მაცნობოთ რეკომენდაციის განხილვის შედეგები.

პატივისცემით,